

8ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

ო ქ მ ო N 3

სხდომის ჩატარების დრო:

18 აგვისტო, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.

ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობაში არსებული ცისფერი დარბაზი

ოთახი N210

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს
სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი მაგდა კოსტავა.

სხდომას ესწრებოდნენ: საბჭოს წევრები: ირაკლი შენგელია, მამუკა რიუამაძე,
მანანა ჩიხლაძე, ელეონორა არჩაია, ქეთევან ბერძენიშვილი, ქეთევან ციბაძე, მაია
ყუფარაძე, ასმათი ჯანგავაძე, ფიქრია ხაჭაპურიძე, ია მაჩიტიძე.

სულ: 28 წევრიდან 11 წევრი.

არ ესწრებოდნენ: გრიგოლ შუშანია, წათუნა არველაძე, თეა ჯუღელი, მარეხი
ნიუარაძე, მაია სიმონიძე, ბაქარ მახარაძე, ნინო ჩიკვაშვილი, ქეთევან ხურციძე, მაკა
ცერცვაძე, ნანა რობაქიძე, ლანა თოთაძე, ნოდარ ჯიქია, ლარისა შენგელია, მერი
გელაშვილი, თინათინ გელხვიძე, მაკა აბულაძე, თინათინ მილორავა.

სულ: 17 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საბჭოს წევრები და მოწვეული ექსპერტი:
ირმა პავლიაშვილი (საერთაშორისო ორგანიზაცია „IFS“ -ის ექსპერტი გენდერულ
საკითხებში).

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა მაგდა კოსტავამ.

სხდომაზე არ გახლდათ წარდგენილი დღის წესრიგი, აღნიშნული შეხვედრა მოწვეული ექსპერტისა და საბჭოს წევრების აზრის, გამოცდილების გაზიარებას მოიცავდა, რომელიც გენდერული საბჭოს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის ფუნდამენტურ როლს ასრულებს.

სხდომის გახსნის შემდეგ მაგდა კოსტავამ სიტყვა მოწვეულ ექსპერტს, ირმა პავლიაშვილს გადასცა.

„ სტრატეგიას როცა ვგეგმავთ ორი მიმართულებით უნდა წავიდეთ, ერთი არის თვითონ საბჭოს საჭიროებების განსაზღვრა, თუ რა ტიპის გაძლიერება სჭირდება იმ ფუნქციების განსახორციელებლად, რის გამოც ის ჩამოყალიბებულია საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე და ამ წლების მანძილზე გარკვეული მიზნებიც აქვს დასახული. მეორე, არის უშუალოდ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების, ქალების საჭიროებების პვლევა და გარკვეულ სტატისტიკას ვეძიებთ ახლა ჩვენ და ვამუშავებთ, იმისთვის რომ, რეალურად დავინახოთ თუ როგორ უნდა დაიგეგმოს სტრატეგია და ამის საფუძველზე შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, რომ შემდეგ ბიუჯეტში, უშუალოდ პროგრამებში გადაითარგმნოს ეს აქტივობები და შედეგზე ორიენტირებული ვიყოთ, ამიტომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა მეთოდოლოგიის ერთ ნაწილს ემსახურება, ის, რომ თქვენი ხედვა მოვისმინოთ საჭიროებებთან დაკავშირებით, ერთი რომ რა საჭიროებები არის ინსტიტუციური თვალსაზრისით და მეორე უკვე რა საჭიროებები არის რესურსის თვალსაზრისით“. -ირმა პავლიაშვილი.

ექსპერტმა ფოკუს ჯგუფთან მუშაობა დიალოგის ფორმატში გააგრძელა, სადაც მის მიერ დასმულ შეკითხვაზე, როგორ, რა ფორმით და ინტენსივობით ხედავენ ურთიერთობის საჭიროებას პარლამენტთან არსებული გენდერულ საბჭოსთან, პასუხის გაცემა საბჭოს თითოეულ წევრს მოუწია.

მამუკა რიჟამაძემ აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც საბჭოს ახალი წევრისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია მჭიდრო ურთიერთობისა და კომუნიკაციის

არსებობა, როგორც პარლამენტთან არსებულ გენდერული საბჭოს, ასევე აჭარისა და სხვა მუნიციპალიტეტების საბჭოების წარმომადგენლებთან და მათი გამოცდილების გაზიარება.

მაგდა კოსტავა - „ჩვენთვის ყველაზე დიდი გზამკვლევი უნდა იყოს პარლამენტთან არსებული გენდერული საბჭო, კარგი იქნება რომ დავგეგმოთ ერთი შეხვედრა სადაც საპარლამენტო საბჭოს წარმომადგენლები გაგვაცნობენ მათ ძირითად გეგმას, სად ხელავენ ჩვენს ჩართულობას“.

ია მაჩიტიძე - „აუცილებელია კომუნიკაცია, რადგან ვიცოდეთ ადგილობრივ დონეზე რა ბერკეტი გვიჭირავს ხელში გენდერული საკითხების გადაჭრის დროს, რომ არ გავცეთ ტყუილი დაპირებები.“

ქეთევან ბერძენიშვილი- „მე ვფიქრობ, რომ პირიქით, ზემოდან საპარლამენტო საბჭო კი არ უნდა გვკარნახობდეს დირექტივებს, ჩვენ შევიმუშაოთ პრობლემები და გავაცნოთ მათ, რადგან სხვადასხვა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა პრობლემები არსებობს და ყველას ერთ ჭრილში ვერ განიხილავ. მაგალითად ქუთაისში ჩვენი პრობლემა არის ის, რომ მიუხედავად იმისა, წლების მანძილზე ვიძახით ჩვენ ქალთა პოლიტიკურ გააქტიურებას და კი ბატონო, ახლა ისევ და ისევ ამ კვოტირების საშუალებით გვყავს უფრო მეტი ქალი ადგილობრივ თვითმმართველობაში, საკრებულოში. მე მიმაჩნია, რომ გოგონათა მეტი პოლიტიკური გახსნილობა უნდა იყოს. მე ვფიქრობ, რომ რეგიონებიდან უნდა წამოვიდეს იმპულსი, რაც შემდეგ ცენტრალური მთავრობის მიერ უნდა იყოს გათვალისწინებული ბიუჯეტში. მარტო ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ გამოკვებავს ყველა იმ პროგრამას რომელიც უნდა განხორციელდეს.“

ფიქრია ხაჭაპურიძემ, როგორც მერიის წარმომადგენელმა და პასუხისმგებელმა პირმა გენდერულ საკითხებზე, მოითხოვა რომ მას ჰქონდეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა და გაწერილი ფუნქციები, სხვა ორგანიზაციებთან ეფექტური კომუნიკაციის მიზნით, თუმცა მას საბჭოს თავმჯდომარის მაგდა კოსტავას მხრიდან, განემარტა რომ მას ეგ მოვალეობა დაკისრებული აქვს მერიიდან და აღნიშნული გეგმაც მათგან უნდა გამოითხოვოს, რაც შეეხება გენდერულ საბჭოს

ის გახლავთ საკრებულოსთან შექმნილი დამოუკიდებელი ორგანო და შესაბამისად, საბჭოს მხრიდან პასუხისმგებელ პირს, თავად საბჭოს თავმჯდომარე წარმოადგენს.

ფიქტურია ხაჭაპურიძემ და ია მაჩიტიძემ ისაუბრეს აგრეთვე განათლების პრობლემაზე და მშობელთა ცნობიერების ამაღლების საჭიროებებზე.

მაია ყუფარაძე - „მე, როგორც უურნალისტს მაინტერესებს, როგორ უნდა იყოს გენდერული საკითხების გაშუქება მედიაში და მაინტერესებს თუ განიხილება საბჭოს მხრიდან მედიასთან ურთიერთობის საკითხი, ამ მიმართულებით“.

ასმათ ჯანგავაძე - „ მე პირადად გამოვყოფ შშმ ქალების საჭიროებებს. უნდა დაინერგოს რაღაც მექანიზმები, როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე, რომელიც მოაგვარებს ასეთი ადამიანების საჭიროებებს. კერძოდ, სექსუალურ და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით სერვისების ხელმისაწვდომობა“.

საბჭოზე, წევრების მიერ დასმული და გაუღერებული იქნა შემდეგი საკითხები:

1. მხედველობა შეზღუდული ადამიანების პრობლემები, მათთვის შეუსაბამო ინფრასტრუქტურის გამო;
2. შშმ პირებისთვის გინეკოლოგიური სკამის არარსებობა;
3. სოციალური სამრეცხაოს არსებობა;
4. ქვიარ ადამიანების პრობლემები;

ირმა პავლიაშვლი „ მინდა, დავუბრუნდე მეორე საკითხს, რომელიც სამართლებრივი აქტების გენდერულ ანალიზს ეხება, იგივე აქტივობების დაგეგმვას, იმგვარად რომ საჭიროებების შემუშავება მოხდეს, მერე უკვე ამ საჭიროებებზე რეკომენდაციების განსაზღვრა. ამ ფარგლებში, ინსტიტუციური საკითხებიდან ამოვიდეთ, რა ტიპის საჭიროებებია, ერთი, რომ ჩვენ ვიძახით საჭიროებები უნდა ვიკვლიოთ, სტატისტიკა ვაწარმოოთ დეტალური და სხვადასხვა ინფორმაცია დავამუშაოთ, გვაქვს ამის რესურსი? გენდერულ საბჭოს ჰყავს ადამიანები?, მკვლევარები?, რომლებიც ამ ტიპის ინფორმაციებს მოიძიებენ. თუ მკვლევარები არა, მუნიციპალიტეტში არსებული სამსახურებიდან მიიღებენ ამ ინფორმაციას, დაამუშავებენ და შემდომ უკვე ამის საფუძველზე შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას?“

მაგდა კოსტავა - „ საბჭო ამ შემთხვევაში, როგორც სტრუქტურული ერთეული არის, მაგრამ ყველა პრაქტიკულად ამ საბჭოს წევრები კონკრეტული, საერთო იდეისთვის ვართ გაერთიანებული აქ. ყველას დამატებითი ძალიან ბევრი პასუხისმგებლობა გვაქვს, აქ ყველა არის მოხალისეობრივ დონეზე შემოსული. ის, რომ ახლა ჩვენ ავიღოთ პასუხისმგებლობა, რომ კვლევა ჩავატარო და ა.შ. მე უფრო სწორად მიმაჩნია განვსაზღვრო კონკრეტული სამსახურები, კონკრეტული ორგანიზაციები, ვისიც უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობაა ამის გაკეთება და მოვთხოვო მათ როგორც გენდერულმა საბჭომ ეს ინფორმაციები მიგზავნოს, ვიდრე მე ვიყო ამის ორგანიზატორი. მე ამის ორგანიზატორი ვერ ვიქნები, ფიზიკურად ვერ გავაკეთებთ. ზუსტი სტატისტიკური მონაცემები გენდერული საჭიროებების კუთხით მუნიციპალიტეტში არ გვაქვს, ჩვენ მზა ინფორმაციის დამუშავება, თქვენ რასაც ბრძანებთ, უნდა განვსაზღვროთ რა ინფორმაციების დამუშავებას მოვახდენთ თვეში ერთხელ, ან წელიწადში ერთხელ იმისთვის რომ ბიუჯეტი განვსაზღვროთ. ერთი სხდომა დავუთმოთ მხოლოდ იმას, რომ შემოსული ინფორმაციების მოთხოვნა დაევალოს საბჭოს მდივანს მაგალითად, ამის შეკრება, დამუშავება და მერე საბჭოზე წარდგენა, რომ ნედლი მასალა მივიღოთ და ვიმსჯელოთ, რომელი არის „ემერჯენსი“, რომელი პრიორიტეტი, რომელზე გავაკეთოთ აქცენტი და ა.შ.“

ფიქრია ხაჭაპურიძე - „ პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ მე 2018 წლიდან ვარ სოციალურ სამსახურში, სადაც წელიწადში ერთხელ კეთდება ანგარიში, მოსმენა. ეს იდება პროაქტიულად. რამდენი ბენეფიციარია, გვაქვს 33 პროგრამა, ამ 33 პროგრამაში, თითოეულ პროგრამაში რამდენმა ბენეფიციარმა მომართა და მე გავაკეთე პირველად ეს, ბენეფიციართა შორის რამდენია ქალი, კაცი, მე დავითვალე და მე მაქვს ეს სტატისტიკა. ქალბატონმა მაგდამ როცა გამომიგზავნა მოთხოვნა, მე მას მივაწოდე ეს ინფორმაცია, მაგრამ გვაქვს ერთი პრობლემა, მაგალითად მარტოხელა დედა, 41 მარტოხელა დედაა, მაგრამ შესაძლებელია ამ 41 მარტოხელა დედის გარდა, კიდევ იყოს ბევრი, ვინც არ იცის რომ ჩვენ გვაქვს მათი ხელშეწყობის პროგრამა, ან არიან მარტოხელა დედები, მაგრამ სტატუსს ვერ ღებულობენ, იმიტომ რომ ბავშვებს ქმრის გვარზე ტოვებენ. მრავალშვილიანი დედა გვყავს 596.

პრობლემა გვაქვს ძალადობის მსხვერპლებთან დაკავშირებით, ერთი ბენეფიციარი გვყავდა ივნისის ჩათვლით, ამოიწურა ეს პროგრამა, ერთი წელი სარგებლობდა. ივლისიდან არცერთი ბენეფიციარი არ გვყავს. როგორ? ძალადობის მსხვერპლი არ გვყავს ქუთაისში? რამდენიც გინდათ იმდენია, მაგრამ მხოლოდ შემაკავებელი ორდენის საფუძველზე რომ ჩვენ ბიუჯეტიდან თანხა გავცეთ ფიზიკურად ვერ აუვალთ. მე შარშან სტატისტიკა მოვითხოვე პოლიციაში და 600-მდე დაასახელეს შემაკავებელი ორდენი და წარმოიღებინეთ ახლა თქვენ, რომ ჩვენ 200-200 ლარი გავცეთ თითოეულ მათგანზე, ბიუჯეტი ვერ გაწვდება და საფრთხეც არსებობს, რომ შეიძლება თანხის გამო ვინმე არასაჭიროების შემთხვევაშიც დარეგისტრირდეს.“

მამუკა რიჭამაძე - „კი ბატონო, დავიწყეთ ინფორმაციის შეგროვება, გვაქვს მიზანიც, მერე რას ვშვებით? მაინც მივდივართ ზევით, აგერ 4 წელია ვითხოვთ სოციალური სამრეცხაოს განსაზღვრულ მათგანზე, ბიუჯეტი ვერ გაწვდება და საფრთხეც არსებობს, რომ შეიძლება თანხის გამო ვინმე არასაჭიროების შემთხვევაშიც დარეგისტრირდეს.“

ირმა პავლიაშვილი - „მეორე საკითხი უკვე ეხება, გენდერულ საკითხებზე ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის მიღება, გამოთხოვის. რამდენად გაქვთ წელმისაწვდომობა, იგივე სტატისტიკასთან წვდომა, სხვადასხვა სტრუქტურასთან ურთიერთობა და ა.შ.“

მაგდა კოსტავა - „როგორც ჩვენი ინფორმაცია არის, ე.ი. ინსტიტუციური, ჩამოყალიბებული, გაწერილი მიდგომა, ის რომ ჩვენ ვიქნებით გენდერული საბჭოს წევრები, თუ სხვა იქნება და ითქვას, ეს იქნება წესი წესად ესეთი არ გვაქვს, თუმცა ვისურვებდით, რომ არსებობდეს. აუცილებლად დაგვჭირდება ამის განსახორციელებლად გარე რესურსის დახმარება, თუნდაც გამოცდილების კუთხით.“

სხდომის ბოლოს საბჭოს წევრებმა ინსტიტუციური საჭიროებები შეაჯამეს:

1. შიდა მექანიზმის, საკრებულოს რესურსის გამოყენება საბჭოს მუშაობაში;
2. ტრენინგების ჩატარება გენდერული ფუნქციების გააზრებისთვის;
3. გაიდლაინების შემუშავება და გაწერა;
4. მუნიციპალიტეტში დეტალური ინფორმაციის მოძიება გენდერული საჭიროებების შესახებ.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს: ირაკლი შენგელიამ, მამუკა რიჟამაძემ, ელეონორა არჩაიამ, ქეთევან ბერძენიშვილმა, მაია ყუფარაძემ, ასმათ ჯანგავაძემ, ფიქრია ხაჭაპურიძემ, ია მაჩიტიძემ.

ამით გენდერული საბჭოს მესამე სხდომამ მუშაობა დაასრულა

თანამდებობა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
გენდერული საბჭოს თავმჯდომარე

ქათათვა
მაგდა კოსტავა

ოქმი შედგენილია ... საკრებულოს საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების
განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ე. კრავიშვილის მიერ.